ა) $\sin 2\alpha+(\cos\alpha-\sin\alpha)^2$; ბ) $\frac{\cos 4\alpha+\sin^2 2\alpha}{(\cos\alpha+\sin\alpha)(\cos\alpha-\sin\alpha)}$;

გ) $\frac{1-\cos 2\alpha+\sin 2\alpha}{1+\cos 2\alpha+\sin 2\alpha}$; დ) $\frac{1+\cos 2\alpha+\sin 2\alpha}{\cos\alpha+\sin\alpha}$.

7. გამოთვალეთ:
ა) $\left(\frac{1+\mathrm{tg}^2\left(\frac{3\pi}{8}\right)}{1-\mathrm{tg}^2\left(\frac{3\pi}{8}\right)}\right)^2$; ბ) $\left(\frac{1-\mathrm{ctg}^2\left(\frac{5\pi}{8}\right)}{1+\mathrm{ctg}^2\left(\frac{5\pi}{8}\right)}\right)^2$;

გ) $\frac{16\mathrm{tg}^2\left(\frac{5\pi}{12}\right)}{\left(1+\mathrm{tg}^2\left(\frac{5\pi}{12}\right)\right)^2}$; დ) $\frac{\mathrm{ctg}^2\left(\frac{5\pi}{8}\right)}{\left(1+\mathrm{ctg}^2\left(\frac{5\pi}{8}\right)\right)^2}$.

8. გამოთვალეთ:

ა) $\sin\frac{\alpha}{2}$, $\cos\frac{\alpha}{2}$ და $\mathrm{tg}\frac{\alpha}{2}$ თუ $\sin\alpha=0,6$ და $2\pi<\alpha<\frac{5\pi}{2}$;

ბ) $\sin\frac{\alpha}{2}$, $\cos\frac{\alpha}{2}$ და $\mathrm{tg}\frac{\alpha}{2}$ თუ $\sin\alpha=-\frac{12}{13}$ და $\pi<\alpha<\frac{3\pi}{2}$;

გ) $\sin\frac{\alpha}{2}$, $\cos\frac{\alpha}{2}$ და $\mathrm{ctg}\frac{\alpha}{2}$ თუ $\cos\alpha=\frac{5}{13}$ და $\frac{3\pi}{2}<\alpha<2\pi$.

9. გაამარტივეთ:

ა) $\frac{1-\cos\alpha}{\sin\alpha}$; ბ) $\frac{\sin\alpha}{1+\cos\alpha}$; გ) $\frac{1+\cos 4\alpha}{\sin 4\alpha}$;

დ) $(1-\cos2\alpha)\mathrm{ctg}\alpha$; ე) $\frac{\mathrm{tg}2\alpha}{\mathrm{tg}4\alpha-\mathrm{tg}2\alpha}$; ვ) $2\sin^2\frac{\alpha}{2}+\cos\alpha$.

10. დაამტკიცეთ იგივეობა;

ა) $2\cos^2\left(\frac{\pi}{4}-\frac{\alpha}{2}\right)=1+\sin\alpha$; ბ) $2\sin^2\left(\frac{\pi}{4}-\frac{\alpha}{2}\right)=1-\sin\alpha$;

გ) $\frac{3-4\cos 2\alpha+\cos 4\alpha}{3+4\cos 2\alpha+\cos 4\alpha}=\mathrm{tg}^4\alpha$; დ) $\frac{1-2\sin^2\alpha}{1+\sin 2\alpha}=\frac{1-\mathrm{tg}\alpha}{1+\mathrm{tg}\alpha}$;

ე) $\mathrm{ctg}\alpha-\mathrm{tg}\alpha-2\mathrm{tg}2\alpha-4\mathrm{tg}4\alpha=8\mathrm{ctg}8\alpha$.

11. გამოსახეთ $\sin3\alpha$ და $\cos3\alpha$, შესაბამისად $\sin\alpha$ და $\cos\alpha$-თი.

12*. დაამტკიცეთ იგივეობა:

ა) $\frac{\cos 2\alpha}{\sin\alpha\cos\alpha+\sin^2\alpha}=\mathrm{ctg}\alpha-1$; ბ) $\frac{\sin 2\alpha-2\cos\alpha}{\sin\alpha-\sin^2\alpha}=-2\mathrm{ctg}\alpha$;

გ) $\frac{1+\cos\alpha+\cos 2\alpha+\cos 3\alpha}{\sin 2\alpha+2\sin\alpha\cos 2\alpha}=\mathrm{ctg}\alpha$; დ) $\frac{1-\sin\alpha-\cos 2\alpha+\sin 3\alpha}{\sin 2\alpha+2\cos\alpha\cos 2\alpha}=\mathrm{tg}\alpha$.

13. იპოვეთ

ა) $\sin\alpha$, თუ $\sin\frac{\alpha}{2}+\cos\frac{\alpha}{2}=\frac{7}{5}$;

ბ) $\sin2\alpha$, თუ $\sin\alpha+\cos\alpha=b$;

გ) $\sin2\alpha$, თუ $\mathrm{ctg}\alpha=-7$.

გ

14 პარალელოგრამის ერთ-ერთი დიაგონალი $4\sqrt{6}$ სმ-ია. ეს დიაგონალი პარალელოგრამის გვერდთან 60°-იან კუთხეს, მეორე დიაგონალი იგივე გვერდთან ადგენს 45°-იან კუთხეს. იპოვეთ მეორე დიაგონალი.

15 ΔABC-ში $\angle B=90°$; $AB=3$სმ; $BC=4$სმ; BM მედიანაა; AN ბისექტრისა. იპოვეთ BK.



16 ტოლფერდა სამკუთხედის ფუძესთან მდებარე კუთხე 30°-ია, ხოლო ფერდი 14 სმ. იპოვეთ ფერდის მედიანა.

6 დაყვანის ფორმულები

1. გამოთვალეთ:

$\sin 240°$; $\cos 210°$; $\sin\frac{7}{6}\pi$.



იგივეობებს, რომლებიც $\frac{\pi}{2}k \pm \alpha$, $k\in Z$ სახის კუთხეთა ტრიგონომეტრიულ ფუნქციებს α კუთხის ტრიგონომეტრიული ფუნქციებით გამოსახავს, **დაყვანის ფორმულები** ეწოდებათ.

დავამტკიცოთ, რომ ნებისმიერი α-თვის სრულდება $\sin\left(\frac{r}{2} - a\right) = \cos a$

დამტკიცება:

$$\sin\left(\frac{r}{2} - a\right) = \sin\frac{r}{2}\cos a - \cos\frac{r}{2}\sin a = 1\cos a - 0\sin a = \cos a$$



ტრიგონომეტრიული წრეწირის გამოყენებით აჩვენეთ, რომ $\sin\left(\frac{r}{2} + a\right) = \cos a$ და $\cos\left(\frac{r}{2} + a\right) = -\sin a$

2. გამოიყენეთ $\sin(\alpha\pm\beta)$ და $\cos(\alpha\pm\beta)$ ფორმულები და დაამტკიცეთ დაყვანის შემდეგი ფორმულები:

$\sin\left(\frac{r}{2} + a\right) = \cos a$ $\left(_2 \quad \right)$ $\cos\left(\frac{r}{2} - a\right) = \sin a$

$\sin(r - a) = \sin a$ $\cos\left(\frac{r}{2} + a\right) = -\sin a$

$\sin(r + a) = -\sin a$ $(r - \quad)$ $\cos(r - a) = -\cos a$

$\sin\left(\frac{3}{2}r - a\right) = -\cos a$ $+$ $\cos(r + a) = -\cos a$

$\sin\left(\frac{3}{2}r + a\right) = -\cos a$ $(\quad - \quad)$ $\cos\left(\frac{3}{2}r - a\right) = -\sin a$

$\sin(2r - a) = -\sin a$ $r +$ $\cos\left(\frac{3}{2}r + a\right) = \sin a$

$\cos(2r - a) = \cos a$

დავამტკიცოთ, რომ $\operatorname{tg}\left(\frac{\pi}{2}-a\right)=\operatorname{ctg}a$ მართლაც

$$\operatorname{tg}\left(\frac{\pi}{2}-a\right)=\frac{\sin\left(\frac{\pi}{2}-a\right)}{\cos\left(\frac{\pi}{2}-a\right)}=\frac{\cos a}{\sin a}=\operatorname{ctg}a$$

3. აჩვენეთ, რომ:

$$\operatorname{tg}\left(\frac{\pi}{2}+\alpha\right)=-\operatorname{ctg}\alpha \qquad \operatorname{ctg}\left(\frac{\pi}{2}-\alpha\right)=\operatorname{tg}\alpha$$

$$\operatorname{tg}(\pi-\alpha)=-\operatorname{tg}\alpha \qquad \operatorname{ctg}\left(\frac{\pi}{2}+\alpha\right)=-\operatorname{tg}\alpha$$

$$\operatorname{ctg}(\pi-\alpha)=-\operatorname{ctg}\alpha$$

დაყვანის ფორმულებისა და ტრიგონომეტრიულ ფუნქციათა პერიოდულობის გათვალისწინება საშუალებას გვაძლევს ნებისმიერი α რიცხვის ტრიგონომეტრიული ფუნქციის მნიშვნელობის გამოთვლა დავიყვანოთ $\left[0;\frac{\pi}{4}\right]$ შუალედში მოთავსებული რიცხვის ტრიგონომეტრიული ფუნქციის მნიშვნელობის გამოთვლამდე.

დაყვანის ფორმულების დამახსოვრება გაგიადვილდებათ, თუ გაითვალისწინებთ შემდეგ წესებს:

1. ვიგულისხმოთ, რომ $\alpha\in\left(0;\frac{\pi}{2}\right)$. გავარკვიოთ, თუ რომელ მეოთხედშია $P_{\frac{\pi}{2}k\pm\alpha}$, $k\in Z$ წერტილი, განვსაზღვროთ რა ნიშანი აქვს ამ მეოთხედში მოცემულ ფუნქციას და მიღებული შედეგის წინ დავწეროთ ეს ნიშანი.
2. დასაყვანი ფუნქციის სახელწოდება იგივე რჩება, თუ დაყვანის ფორმულაში $\frac{\pi}{2}$ აღებულია ლუწ რიცხვჯერ (ანუ როცა $\pi\pm\alpha$ ან $2\pi\pm\alpha$ არგუმენტი იცვლება α-თი),ხოლო დასაყვანი ფუნქციის სახელწოდება იცვლება მისი „კოფუნქციით“ (სინუსი - კოსინუსით, კოსინუსი - სინუსით, ტანგენსი - კოტანგენსით, კოტანგენსი - ტანგენსით), თუ დაყვანის ფორმულაში $\frac{\pi}{2}$ აღებულშია კენტ რიცხვჯერ (ანუ, როცა $\frac{\pi}{2}\pm\alpha$ ან $\frac{3}{2}\pi\pm\alpha$ არგუმენტი იცვლება α-თი).

მაგალითი 1.

გამოთვალეთ: ა) $\cos\left(\frac{22}{3}\pi\right)$; ბ) $\sin(-1575^\circ)$.

ამოხსნა:

ა) $\cos\left(\frac{22}{3}\pi\right)=$ | გამოვყოთ პერიოდი, $2\pi k$

$$\cos\left(6\pi+\frac{4}{3}\pi\right)=\cos\frac{4}{3}\pi=\cos\left(\pi+\frac{\pi}{3}\right)=$$
$$=-\cos\frac{\pi}{3}=-\frac{1}{2}$$

ან ასეც:

$$\cos\frac{4}{3}\pi=\cos\left(\frac{3}{2}\pi-\frac{\pi}{6}\right)=$$
$$=-\sin\frac{\pi}{6}=-\frac{1}{2}$$

ბ) $\sin(-1575^\circ) =$

$= -\sin 135^\circ = -\sin(180^\circ - 45^\circ) = -\sin 45^\circ = -\frac{\sqrt{2}}{2}$

$\underline{1575} : 360 = 4$
$135 \leftarrow$ ნაშთი

სავარჯიშოები:

1. გამოთვალეთ დაყვანის ფორმულების გამოყენებით
ა) $\cos 150^\circ$; ბ) $\sin 135^\circ$; გ) $\mathrm{ctg}(-135^\circ)$; დ) $\cos 120^\circ$;
ე) $\mathrm{tg}\frac{5\pi}{4}$; ვ) $\sin\frac{11\pi}{6}$; ზ) $\mathrm{ctg}\frac{5\pi}{3}$; თ) $\cos\left(-\frac{7\pi}{3}\right)$.

2. იპოვეთ: ა) $\sin 40^\circ$, თუ $\cos 50^\circ = a$; ბ) $\cos 22^\circ$, თუ $\sin 68^\circ = a$;
გ) $\sin\left(\alpha + \frac{\pi}{3}\right)$, თუ $\cos\left(\frac{\pi}{6} - \alpha\right) = a$.

3 აჩვენეთ, რომ
ა) $\sin\left(\alpha + \frac{\pi}{4}\right) = \cos\left(\frac{\pi}{4} - \alpha\right)$; ბ) $\cos\left(2\alpha + \frac{\pi}{3}\right) = \sin\left(\frac{\pi}{6} - 2\alpha\right)$.
გ) $\sin\left(\frac{7\pi}{6} + \alpha\right) + \sin\left(\frac{\pi}{6} + \alpha\right) = 0$; დ) $\sin\left(\frac{5\pi}{4} + \alpha\right) + \sin\left(\frac{3\pi}{4} - \alpha\right) = 0$;
ე) $\cos\left(\alpha - \frac{2\pi}{3}\right) + \cos\left(\frac{\pi}{3} + \alpha\right) = 0$; ვ) $\cos\left(\alpha - \frac{2\pi}{3}\right) - \cos\left(\alpha + \frac{4\pi}{3}\right) = 0$.

4 ისარგებლეთ სურათზე მოცემული ნიმუშით და დაამტკიცეთ დაყვანის დანარჩენი ფორმულები.

5. გამოთვალეთ დაყვანის ფორმულების გამოყენებით:
ა) $\sin 585^\circ - \cos(-930^\circ)\cdot\mathrm{ctg}\,510^\circ$; ბ) $\sin(-570^\circ)\cos 870^\circ\cdot\mathrm{tg}\,945^\circ$;
გ) $\sin 1020^\circ\cdot\cos 675^\circ\cdot\mathrm{ctg}(-1050^\circ)$; დ) $\sin 660^\circ\cdot\cos(-855^\circ)\mathrm{ctg}\,600^\circ$.

6. გაამარტივეთ გამოსახულება:
ა) $\dfrac{\mathrm{ctg}\left(\frac{\pi}{2} - \alpha\right) - \mathrm{tg}(\pi + \alpha) + \sin\left(\frac{3\pi}{2} - \alpha\right)}{\cos(\pi + \alpha)}$;
ბ) $\dfrac{\sin(\pi - \alpha) + \cos\left(\frac{\pi}{2} + \alpha\right) - \mathrm{ctg}(\pi - \alpha)}{\mathrm{tg}\left(\frac{3\pi}{2} - \alpha\right)}$;
გ) $\dfrac{\sin\left(\frac{3\pi}{2} + \alpha\right)}{\mathrm{ctg}(2\pi + \alpha)} \cdot \dfrac{\mathrm{tg}\left(\frac{\pi}{2} + \alpha\right)}{\sin(\pi + \alpha)}$; დ) $\dfrac{\sin^2(\pi + \alpha) + \sin^2\left(\frac{\pi}{2} + \alpha\right)}{\cos\left(\frac{3\pi}{2} + \alpha\right)} \cdot \mathrm{ctg}\left(\frac{3\pi}{2} - \alpha\right)$.

7. ამოხსენით განტოლება:
ა) $\cos\left(\frac{\pi}{2} - x\right) - \cos\left(\frac{\pi}{2} + x\right) = 1$; ბ) $\sin(\pi - x) - \sin(\pi + x) = 2$;
გ) $\sin(3x + 3\pi)\cdot\sin\left(2\pi + \frac{3\pi}{2}\right) - \sin 2x\cos 3x = 1$;
დ) $\sin\left(5x - \frac{3\pi}{2}\right)\cdot\cos(2x + 4\pi) - \sin(5x + \pi)\sin 2x = 0$



$\triangle OP_\alpha K = \triangle OP_{\frac{\pi}{2}+\alpha}M$
აქედან
1. $OM = KP_\alpha$
და
$\cos\left(\frac{\pi}{2} + \alpha\right) = -\sin\alpha$
2. $MP_{\frac{\pi}{2}+\alpha} = OK$
ე.ი. $\sin\left(\frac{\pi}{2} + \alpha\right) = \cos\alpha$

8 დაამტკიცეთ, რომ, თუ α, β და γ სამკუთხედის შიგა კუთხეებია:

ა) $\cos(\alpha+\beta-\gamma) = -\cos(2\gamma)$;

ბ) $\sin\alpha\sin\beta - \cos\gamma = \cos\alpha\cos\beta$

გ) თუ $\cos(\alpha+\beta-\gamma) = -1$.

მაშინ სამკუთხედი მართკუთხაა.

9 დაამტკიცეთ, რომ
$\sin(\alpha+\beta+\gamma)=\sin\alpha\cos\beta\cos\gamma+\sin\beta\cos\alpha\cos\gamma+\sin\gamma\cos\alpha\cos\beta - \sin\alpha\sin\beta\sin\gamma$.



10* ნახაზის მიხედვით დაამტკიცეთ, რომ $ef=ac+bd$ სადაც $e=AC$, $f=BD$ (მითითება: $\frac{a}{\sin a} = 2R$).



11 ნახაზზე მოცემული ურთიერთგადამკვეთი წრფეების განტოლებებია: $f(x)=k_1x+b_1$, $g(x)=k_2x+b_2$.

ა) აჩვენეთ, რომ ორ წრფეს შორის კუთხე გამოითვლება ფორმულით:

$$\operatorname{tg}c = \left|\frac{k_2 - k_1}{1 + k_1k_2}\right| \qquad (1)$$

ბ) (1) ფორმულის გამოყენებით დაადგინეთ ორი წრფის მართობულობის პირობა.

გ

12. გამოთვალეთ:

ა) $\frac{\sqrt{3}+\sqrt{2}}{\sqrt{3}-\sqrt{2}} + \frac{\sqrt{3}-\sqrt{2}}{\sqrt{3}+\sqrt{2}} =$ ბ) $\left(\sqrt{4+2\sqrt{3}} + \sqrt{4-2\sqrt{3}}\right)^2 =$

გ) $\sqrt[3]{5\sqrt{2}} \cdot \sqrt[6]{1\frac{7}{25}} =$ დ) $\sqrt{2\sqrt{2\sqrt{2}}} \cdot \sqrt[8]{2} =$

13. იპოვეთ $\sqrt{(7-a)(1+a)}$, თუ $\sqrt{7-a} + \sqrt{1+a} = 4$.

14. ჩამოთვლილი რიცხვებიდან რომელია მთელი:

ა) $(\sqrt{5}+2)^{\circ}$; ბ) $(\sqrt{3}-1)^2$; გ) $\left(\frac{1}{81}\right)^{\frac{1}{4}}$; დ) $(\sqrt{8})^{\frac{4}{3}}$.

7 ამოვხსნათ ტრიგონომეტრიული განტოლება

გავეცნოთ უფრო რთული ტრიგონომეტრიული განტოლებების ამოხსნას:

1. sin30°+cos30°tgx=0

ამოხსნა:

$(\sin 30°+\cos 30°\operatorname{tg}x=0) \Leftrightarrow$ | შევცვალოთ $\operatorname{tg}x=\frac{\sin x}{\cos x}$-ით

$$\Leftrightarrow \left(\sin 30° + \frac{\cos 30° \sin x}{\cos x} = 0\right) \Leftrightarrow \left(\frac{\sin 30° \cos x + \cos 30° \sin x}{\cos x} = 0\right) \Leftrightarrow$$

$$\Leftrightarrow \begin{cases}\sin(x+30°)=0\\ \cos x \neq 0\end{cases} \Leftrightarrow \begin{cases}x+30°=180°k\\ x\neq 90°+180°k\end{cases} \Leftrightarrow \begin{cases}x=-30°+180°k\\ x\neq 90°+180°k\end{cases} \Leftrightarrow$$

$\Leftrightarrow x = -30°+180°k,\ k\in Z.$

2. ამოხსენით განტოლება:

ა) $3\sin x+2\cos x=0$; ბ) $\sin^2x-2\sin x\cos x-3\cos^2x=0$;

გ) $3\cos^2x+\sin x\cos x=0$; დ) $3\sin x-2\cos x+3=0$.

ამოხსნა:

განვიხილოთ პირველი ორი განტოლება. ორივე ერთგვაროვანი განტოლებაა. ამასთან, ა) პირველი, ხოლო ბ) — მეორე ხარისხის.

ა) x-ის მნიშვნელობები, რომელთათვისაც cosx=0, არ შეიძლება იყოს განტოლების ფესვები, რადგან მაშინ sinx-იც ნულის ტოლი აღმოჩნდება. ეს კი, ვიცით, რომ შეუძლებელია.

ამიტომ განტოლების ორივე მხარე შესაძლებელია გავყოთ cosx-ზე.

$(3\sin x+2\cos x=0 \,|\, :\cos x) \Leftrightarrow (3\operatorname{tg}x + 2 = 0) \Leftrightarrow (x = -\operatorname{arctg}\frac{2}{3} + \pi k,\ k \in Z)$

ბ) წინას ანალოგიური მსჯელობით განტოლება გავყოთ $\cos^2 x$-ზე.

$(\sin^2 x - 2\sin x\cos x - 3\cos^2 x = 0 \,|\, :\cos^2 x) \Leftrightarrow$

$\Leftrightarrow (\operatorname{tg}^2 x - 2\operatorname{tg}x - 3 = 0) \Leftrightarrow$ | განტოლება კვადრატულია tgx-ის მიმართ

$$\Leftrightarrow \left[\begin{array}{l}\operatorname{tg}x = 3\\ \operatorname{tg}x = -1\end{array}\right) \Leftrightarrow \left[\begin{array}{l}x = \operatorname{arctg}3 + \pi k\\ x = -\frac{\pi}{4} + \pi k\end{array}\right. \quad k \in Z$$

პასუხი: $\operatorname{arctg}3 + \pi k,\ k\in Z$; $-\frac{\pi}{4} + \pi k,\ k\in Z$.

განტოლებებს, რომელთა წევრები sinx-ისა და cosx-ის მიმართ ერთი და იმავე ხარისხისაა **ერთგვაროვანი ტრიგონომეტრიული განტოლება** ეწოდება.

გ) $(3\cos^2 x + \sin x \cos x = 0) \Leftrightarrow$ | დავშალოთ მამრავლებად განტოლების მარცხენა მხარე

$\Leftrightarrow (\cos x(3\cos x + \sin x) = 0))$

$\cos x = 0$

$x = \frac{\pi}{2} + \pi k, k \in Z$

an

$3\cos x + \sin x = 0 \Leftrightarrow$ | პირველი ხარისხის ერთგვაროვანი განტოლებაა - გავყოთ cosx-ზე.

$\Leftrightarrow (tgx + 3) = 0) \Leftrightarrow$

$\Leftrightarrow x = - \text{arctg}3 + \pi k,\ k \in Z$

პასუხი: $\frac{\pi}{2} + \pi k,\ k \in Z;\ - \text{arctg}3 + \pi k,\ k \in Z.$

გ) შემთხვევაში განტოლების ორივე მხარის cos²x-ზე გაყოფით დაიკარგებოდა განტოლების ფესვი. რატომ? პასუხი დაასაბუთეთ.

დ) $(3\sin x - 2\cos x + 3 = 0) \Leftrightarrow (3\sin x + 3 = 2\cos x) \Leftrightarrow$ | ავიყვანოთ კვადრატში

$\Leftrightarrow (9\sin^2 x + 18\sin x + 9 = 4\cos^2 x) \Leftrightarrow (9\sin^2 x + 18\sin x + 9 - 4(1 - \sin^2 x) = 0) \Leftrightarrow$

$\Leftrightarrow (13\sin^2 x + 18\sin x + 5 = 0)$

$\sin x = -\frac{5}{13}$ ან $\sin x = -1$ | რადგან განტოლება ავიყვანეთ კვადრატში, საჭიროა მისი შემოწმება

შემოწმება:

1. თუ $\sin x = -\frac{5}{13}$, მაშინ $\cos x = \pm\frac{12}{13}$.

1) $\sin x = -\frac{5}{13}$ და $\cos x = \frac{12}{13}$, მაშინ $3\cdot\left(-\frac{5}{13}\right) - 2\cdot\frac{12}{13} + 3 = 0.$



ე.ი. x მეოთხე მეოთხედის კუთხეა და $x = \arcsin\left(-\frac{5}{13}\right) + 2\pi k.$

2) $\sin x = -\frac{5}{13}$ და $\cos x = -\frac{12}{13}$, მაშინ $3\cdot\left(-\frac{5}{13}\right) - 2\cdot - \frac{12}{13} + 3 \neq 0.$

2. თუ $\sin x = -1$, მაშინ $\cos x = 0$.

$3\cdot(-1) - 2\cdot 0 + 3 = 0$, აქედან $x = -\frac{\pi}{2} + 2\pi k, k \in Z.$

პასუხი: $-\arcsin\frac{5}{13} + 2\pi k;\ -\frac{\pi}{2} + 2\pi k, k \in Z.$

სავარჯიშოები:

1. იპოვეთ გამოსახულების ნიშანი.

ა) $\cos\left(1 + \frac{2\pi}{5}\right)\cos\left(1 + \frac{4\pi}{5}\right)\cos\left(1 + \frac{6\pi}{5}\right)\cos\left(1 + \frac{8\pi}{5}\right);$

ბ) $tg11 \cdot tg12 \cdot tg13;$ გ) $\sin 2 \cdot \sin 3 \cdot \sin 5.$

2. არსებობს თუ არა ისეთი α კუთხე, რომ $\sin a = \left(\frac{\sqrt{3}-1}{\sqrt{5}-\sqrt{3}}\right)^{-1}$

3. იპოვეთ ფუნქციის უმცირესი დადებითი პერიოდი.
ა) $y=\sin 2x+\cos 4x$; ბ) $y=\sin 3x+\cos 7x$;
გ) $y=\sin \pi x$; დ) $y=\cos 2\pi x+\sin 4\pi x$.

4. კენტია თუ ლუწი ფუნქცია?
ა) $y=\operatorname{tg}5x+\operatorname{ctg}3x+4\sin x\cos 2x$; ბ) $y=\cos 6x+\sin^3 x\cdot \operatorname{tg}\frac{x}{2}+3x^2$.

ამოხსენით განტოლება:

5. ა) $6\sin^2 x-5\sin x+1=0$; ბ) $-2\cos^2 x+\cos x+1=0$;
გ) $2\operatorname{tg}^2 x-3\operatorname{tg}x=0$; დ) $12\sin^2(2x-1)+\sin(2x-1)-1=0$;
ე) $\operatorname{tg}^2\left(\frac{r}{5}-2x\right)-\operatorname{tg}\left(\frac{r}{5}-2x\right)-6=0$; ვ) $\cos^2 x+(3-\sqrt{3})\cos x-3\sqrt{3}=0$.

6. ა) $3\sin^2 2x+7\cos^2 2x-3=0$; ბ) $2\sin^3 x-\cos 2x-\sin x=0$;
გ) $2\cos^2 x+5\sin x-4=0$; დ) $\cos 2x-5\sin x-3=0$;
ე) $\cos 2x+\sin^2 x+\sin x=\frac{1}{4}$; ვ) $2\cos^2 x=3\sin x+2$.

7. ა) $1-\cos x=\sin x$; ბ) $1+\cos x=\cos\frac{x}{2}$;
გ) $\frac{1-\cos x}{\sin\frac{x}{2}}=2$; დ) $(1+\cos 4x)\sin 2x=\cos^2 2x$;
ე) $6\sin^2 x+2\sin^2 2x=5$; ვ) $1+\cos x+\cos 2x=0$.

8. ა) $\operatorname{tg}2x=3\operatorname{tg}x$; ბ) $2\operatorname{tg}x-2\operatorname{ctg}x=3$;
გ) $\sin 2x=\cos^4\frac{x}{2}-\sin^4\frac{x}{2}$; დ) $\operatorname{tg}x+\operatorname{ctg}\left(x+\frac{r}{4}\right)=1$.

9. ა) $\sin^2 x-2\sin x\cos x=3\cos^2 x$; ბ) $6\sin^2 x+\sin x\cdot\cos x-\cos^2 x=2$;
გ) $8\sin 2x-3\cos^2 x=4$; დ) $5\sin^2 x+3\sin x\cos x-3\cos^2 x=2$;
ე) $2\sin x\cos x+3\cos^2 x=0$; ვ) $3\sin^2 x-2\sin x\cos x+4\cos^2 x=4$.

10*. ა) $2\sin^3 x+2\cos x\sin^2 x-\sin x\cos^2 x-\cos^3 x=0$;
ბ) $3\operatorname{tg}^2 x+4\operatorname{tg}x+3\operatorname{ctg}x+3\operatorname{ctg}^2 x+2=0$;
გ) $\sin^4 x+\cos^4 x=\sin 2x-0{,}5$;
დ) $\sin^4 2x+\cos^4 2x=\sin 2x\cos 2x$.

11. იპოვეთ მოცემული განტოლების უდიდესი უარყოფითი და უმცირესი დადებითი ამონახსნები:
ა) $2\sin^2 2x+\sin^2 4x=1{,}25$; ბ) $4\cos x\cos 2x=\cos 3x$;
გ) $11\operatorname{ctg}x-5\operatorname{tg}x=\frac{16}{\sin x}$; დ) $2\sin 2x+\cos^2 x+2+\cos 2x=0$.

12. იპოვეთ მოცემული განტოლების ყველა ის ამონახსნი, რომელიც მითითებულ შუალედს ეკუთვნის:
ა) $\sin^2 x+3\sin x\cos x+2\cos^2 x=0$ $x\in(\pi;2\pi)$;
ბ) $4(1+\cos x)=9+\sin^4 x-\cos^4 x$ $x\in(-\pi;\pi)$;
გ) $\sin^2 x-\sqrt{3}\sin 2x-\cos^2 x=-2$ $x\in(0;4)$.

13. დაამტკიცეთ, რომ განტოლებას ამონახსნი არ აქვს:

ა) $4\sin 2x+\cos x=5$; ბ) $\sin x=x^2-x+\frac{3}{2}$; გ) $\sin 2x\cos x=1$.

14. ამოხსენით განტოლება:

ა) $\sqrt{3}\sin x+\cos x=\sqrt{2}$; ბ) $\sin x-\sqrt{3}\cos x=1$;

გ) $\sqrt{3}\sin x-\cos x=1$; დ) $\sin x+\cos x=\frac{5}{4}$.

15. რას ეწოდება ქვესიმრავლე?

ა) დაასახელეთ სიმრავლე, რომელსაც მხოლოდ ერთი ქვესიმრავლე აქვს.

ბ) არსებობს თუ არა სიმრავლე, რომელსაც მხოლოდ სამი ქვესიმრავლე აქვს.

გ) თუ A წესიერი მრავალკუთხედების სიმრავლეა, რომელი ოთხკუთხედების სიმრავლეა A-ს ქვესიმრავლე?

16. როგორი ნიშანი აქვს a-ს, თუ $f(x)=ax^2$ ფუნქციისთვის

ა) $f(-3)>f(-2)$; ბ) $f(4)>f(1)$; გ) $f(-3)>f(2)$.

პროექტი:

გახსენით სამუშაო ფურცელი პროგრამა GeoGebra-ში. მოაწესრიგეთ ფონის, ღერძების, ბადის ფერი. x ღერძზე მანძილის ერთეულად აირჩიეთ $\frac{\pi}{2}$ y ღერძზე, შემდეგ ააგეთ:

ა) $y=\sin x$, $y=2\sin x$, $y=0{,}5\sin x$ და $y=-\sin x$;

ბ) $y=\cos x$, $y=\cos(x+\frac{\pi}{4})$, $y=\cos(x-\frac{\pi}{4})$ და $y=\cos(x-\frac{\pi}{2})$;

გ) $y=\sin x$, $y=\sin 2x$, $y=\sin 0{,}5x$

ფუნქციათა გრაფიკები.

ალგებრის ფანჯარაში ფუნქციათა ჩანწერაზე დააწკაპეთ, თაგვის მარჯვენა ღილაკზე. გაიხსნება ახალი ფანჯარა. შემდეგ „თვისებები“-ზე შემდეგ „ფერი“. მარცხენა სვეტში მონიშნეთ შესაბამისი წირი, მიეცით სასურველი ფერი და „დახურვა“.

მე-10 ლოგოში მონიშნეთ „ტექსტის ჩასმა“ და ჩაწერეთ:

ა) $y=a\sin x$; $a=-1;\ 1;\ 0{,}5;\ 2$;

ბ) $y=\cos(x-a)$; $a=0;\ \pm\frac{\pi}{4};\ \frac{\pi}{2}$;

გ) $y=\sin ax$; $a=1;\ 2;\ 0{,}5$.

წარწერა მარცხენა ღილაკიდან ხელის აუღებლად შეგიძლიათ დასვათ სასურველ ადგილას და შეგიძლიათ შეაფერადოთ კიდეც.

1. $y=\sin x$ ($y=\cos x$) ფუნქციის რა თვისებები აქვთ საერთო მიღებულ გრაფიკებს და რა თვისებით განსხვავდებიან ერთმანეთისგან?

მითითება: sin(x) და π მოძებნეთ ბრძანებათა ველში,  ლოგოში (sin(x) შეგიძლიათ უბრალოდ აკრიფოთ კიდეც).

8 $y = a\sin(bx+c)$ ფუნქცია



ზამბარაზე დავკიდოთ საწონი და ვუბიძგოთ მას ქვემოთ. საწონი დაიწყებს რხევას ზევით და ქვევით — საწონის გადახრა წონასწორობის მდგომარეობიდან გამოითვლება ფორმულით:

$$S = \frac{v_0}{\omega}\sin\omega t\,.$$

v_0 არის ის სიჩქარე, რითაც ვუბიძგებთ საწონს, ხოლო $\omega = \sqrt{\frac{k}{m}}$, სადაც m – საწონის მასაა, k კი ზამბარის სიხისტე (ძალა, რომელიც საჭიროა ზამბარის 1 სმ-ით გასაჭიმათ).

რხევებს , რომლებიც

$$S = A\sin\omega t$$

კანონით ხორციელდება **ჰარმონიული რხევები** ჰქვია.

ω რხევის სიხშირეა — რხევათა რიცხვი 2π წამში.

$\frac{2r}{\sim}$ — რხევის პერიოდია, A რხევის ამპლიტუდა და გვიჩვენებს წონასწორობის მდგომარეობიდან მერხევი სხეულის მაქსიმალურ გადახრას.

- იპოვეთ ა) $y=2\sin x$; ბ) $y=0{,}5\cos x$ ფუნქციის უდიდესი და უმცირესი მნიშვნელობა, მნიშვნელობათა სიმრავლე.

- იპოვეთ $y=\sin 3x$ ფუნქციის უმცირესი დადებითი პერიოდი.

განვიხილოთ $y=\sin x$ ფუნქციის გრაფიკის ზოგიერთი გარდაქმნა.

I. $y = a\sin x$.

- როგორ მიიღება $y=f(x)$ ფუნქციის გრაფიკისგან $y=af(x)$ ფუნქციის გრაფიკი (გაიხსენეთ $y=x^2$ და $y=ax^2$)?

ადვილი მისახვედრია, რომ, თუ წერტილი $(x_1;y_1)$, $y_1=\sin x_1$, მდებარეობს $y=\sin x$ ფუნქციის გრაფიკზე, მაშინ $(x_1;ay_1)$ იქნება $y=a\sin x$ ფუნქციის გრაფიკის წერტილი.



$|a|$ რიცხვს, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა უდიდესი მნიშვნელობას ღებულობს ფუნქცია, **ამპლიტუდა** ეწოდება.

ნახაზზე ნაჩვენებია y=2sinx, y=sinx და y=0,5sinx ფუნქციათა გრაფიკები.



ჩამოწერეთ y=2sinx და y=0,5sinx ფუნქციათა თვისებები.

II. ავაგოთ y=sin(x-m) ფუნქციის გრაფიკი.

ვთქვათ, f(x)=sinx, g(x)=sin(x–m) განვიხილოთ g(x+m)=sin(x+m-m)=sinx. მივიღეთ: g(x+m)=f(x), რაც იმას ნიშნავს, რომ f ფუნქცია განსაზღვრის არედან აღებულ ნებისმიერ x_0-თვის ღებულობს იმავე მნიშვნელობას, რასაც g ფუნქცია (x_0+m)-თვის. ამრიგად, y=sin(x-m) ფუნქციის გრაფიკი მიიღება y=sinx ფუნქციის გრაფიკის $\begin{cases} x \to x+m \\ y \to y \end{cases}$ პარალელური გადატანით x ღერძის გასწვრივ m ერთეულით.

ამრიგად, ჩვენ უკვე შეგვიძლია ავაგოთ y=sin(x–π) და $y=\sin\left(x+\frac{r}{2}\right)$ ფუნქციათა გრაფიკები (ნახ.2)



ნახ. 2

საზოგადოდ, y=f(kx) ფუნქციის გრაფიკი მიიღება: თუ k>1, y=f(x) ფუნქციის გრაფიკის k-ჯერ შეკუმშვით, ხოლო თუ 0<k<1 k-ჯერ გაჭიმვით x ღერძის გასწვრივ.

III. ავაგოთ $g(x)=\sin kx$ ფუნქციის გრაფიკი f(x)=sinx ფუნქციის გრაფიკისგან.

$$g\left(\frac{1}{k}x\right)=\sin\left(k\cdot\frac{1}{k}x\right)=\sin x=f(x).$$

ე.ი. f(x) ფუნქცია განსაზღვრის არედან აღებულ ნებისმიერ x_1 წერტილში ღებულობს იმავე მნიშვნელობას, რასაც g(x) ფუნქცია $x_2=\frac{x_1}{k}$ წერტილში. მაგალითად, თუ k=2, მაშინ $x_2=\frac{x_1}{2}$ მაგრამ, თუ $k=\frac{1}{2}$, მაშინ $x_2=\frac{x_1}{1/2}=2x_1$. აქედან გამომდინარე, g(x)=sinkx ფუნქციის გრაფიკის

y=sin2x ფუნქციის გრაფიკის ასაგებად აბსცისები შემცირდა 2-ჯერ.

(x,y)→(2x;y)

y=sin$\frac{1}{2}$x-ის ასაგებად კი შემცირდა $\frac{1}{2}$-ჯერ, ანუ გაიზარდა 2-ჯერ,

(x,y)→($\frac{1}{2}$x;y)

მისაღებად $f(x)=\sin x$ ფუნქციის გრაფიკი, თუ $k>1$, შეიკუმშება k-ჯერ, ხოლო, თუ $0<k<1$ გაიჭიმება k-ჯერ x ღერძის გასწვრივ.



ნახაზზე მოცემულია $y=\sin 2x$ და $y=\sin\frac{1}{2}x$ ფუნქციათა გრაფიკები.

$T_0(\sin 2x)=\pi \qquad T_0(\sin\frac{1}{2}x)=4\pi.$

ამრიგად, $y = a\sin(k(x-b))$ ფუნქციის გრაფიკის ასაგებად, სასურველია ვისარგებლოთ ასეთი სქემით:

ავაგოთ 1. $y = \sin kx$ (1)

2. $y = a\sin kx$ (2)

3. $y = a\sin k(x-b)$ ფუნქციის გრაფიკი – (2) გრაფიკი გაცურდება b ერთეულით x ღერძის გასწვრივ. ფუნქციის პერიოდია $T_0=\frac{2\pi}{k}$.

ავაგოთ $y=3\sin(2x-\pi)=3\sin\left(2(x-\frac{\pi}{2}\right)$ ფუნქციის გრაფიკი.





მაგალითი 1.

ნახაზზე მოცემულია y=asin(kx–c) ფუნქციის გრაფიკი. იპოვეთ a, k და c რიცხვები.

ამოხსნა:

$a=2$, $T_0=3\pi$.

$y=a\sin kx$ ფუნქციის გრაფიკი გადაადგილებულია x ღერძის გასწვრივ $+\frac{\pi}{2}$-ით. ე.ი. ფუნქციის განტოლებას აქვს სახე:

$y = 2\sin(k(x-\frac{\pi}{2}))$, რადგან $T_0 = \frac{2\pi}{k} = 3\pi \Rightarrow k = \frac{2}{3}$,

მივიღეთ: $y = 2\sin\left(\frac{2}{3}\left(x-\frac{\pi}{2}\right)\right) = 2\sin\left(\frac{2}{3}x-\frac{\pi}{3}\right)$

ე.ი. $a=2$, $k=\frac{2}{3}$, $c=\frac{\pi}{3}$.

სავარჯიშოები:

1. იპოვეთ ფუნქციის ამპლიტუდა და პერიოდი და დახაზეთ შესაბამისი გრაფიკი:

ა) $y=1,5\sin x$; ბ) $y=2\cos x$; გ) $y=\cos\left(x+\frac{\pi}{2}\right)$;

დ) $y=\cos\frac{1}{2}x$; ე) $y=2\sin(x-\frac{\pi}{2})$; ვ) $y=3\cos(2x+\pi)$.

ზ) $y=2\sin x$; თ) $y=\cos x-2$; ი) $y=\frac{1}{2}\cos x$;

კ) $y=\sin\left(x-\frac{\pi}{2}\right)$; ლ) $y=\cos\left(2x-\frac{\pi}{4}\right)$; მ) $y=5\cos\left(2x+\frac{\pi}{2}\right)$.



2. ნახაზზე მოცემულია $y=a\cos bx$ ფუნქციის გრაფიკი. იპოვეთ a და b კოეფიციენტები.

3. მოცემულია $f(x)=2\cos\frac{x}{2}-\frac{3}{2}$ ფუნქცია.
ა) დახაზეთ ფუნქციის გრაფიკი $-\pi\leq x\leq 5\pi$ ინტერვალში და იპოვეთ ამპლიტუდა და პერიოდი;
ბ) იპოვეთ ფუნქციის მნიშვნელობათა სიმრავლე;
გ) დაწერეთ f(x) ფუნქცია კოსინუსისგან განსხვავებული სხვა ტრიგონომეტრიული ფუნქციით გამოსახული.

4. დახაზეთ $-\pi \le x \le 5\pi$ ინტერვალზე შემდეგი ფუნქციის გრაფიკი. იპოვეთ ამპლიტუდა, პერიოდი და მნიშვნელობათა სიმრავლე:

ა) $y=\frac{1}{2}\cos x-3$; ბ) $y=3\sin 3x-\frac{1}{2}$; გ) $y=1{,}2\sin\frac{x}{2}+4{,}3$.

5. ნახაზზე მოცემულია $y=a\sin\frac{\pi}{2}x+b$. იპოვეთ a და b.

ა)



ბ)



6. ნახაზზე მოცემულია y=asin(bx–c) ფუნქციის გრაფიკი. იპოვეთ a, b და c კოეფიციენტები:

ა)



ბ)



გ)



დ)



პროექტი:



სამი ელექტრომაგნიტური ტალღა (ლურჯი, მწვანე, წითელი) x ღერძის გასწვრივ მანძილი მიკრონებშია მოცემული.



ფიზიკაში, ტექნიკაში მრავლად არის დროში პერიოდული პროცესები. მაგალითად, ვიბრაციები, რხევები, რომლებიც y=acos(bx+c) სახის ფუნქციების საშუალებით აღიწერებიან.

$f(x)=A\cos(\omega t+\varphi)$ ჰარმონიულ რხევათა ზოგადი ფორმულაა, სადაც A რხევის ამპლიტუდაა. ω - რხევის სიხშირეა, φ კი - რხევის საწყისი ფაზა. რომლის პერიოდია $T_0 = \frac{2r}{\sim}$.

სინათლე სხვადასხვა სიხშირის ტალღებისგან შედგება. სხვადასხვა სიხშირის ტალღები სხვადასხვაგვარად გარდატყდება თეთრი სინათლე დისპერსიის გამო პრიზმაში გასვლისას კომპონენტებად იშლება.

ტრიგონომეტრიული ფუნქციები გამოიყენება აგრეთვე ნავიგაციაში, საინჟინრო მეცნიერებაში, ასტრონომიაში, ფიზიკაში და სხვა.

როცა ორკესტრი უკრავს, მაშინ ყოველი მუსიკალური ინსტრუმენტი იწვევს ჰაერის თავისებურ რხევას. ეს რხევები იკრიბება და ჩვენამდე აკორდის სახით აღწევს.

გაინტერესებთ კიდევ მეტი გაიგოთ, სად და როგორ გამოიყენება ტრიგონომეტრია? მაშინ მოიძიეთ ინფორმაცია და მოამზადეთ თემა: ტრიგონომეტრიის გამოყენება და წარმოადგინეთ გაკვეთიზე.

ამოცანა დამოუკიდებელი კვლევისთვის:

1 კომპიუტერში ააგეთ:

ა) $y=a\sin x+b\sin 3x$, $a,b\in[-5;5]$ ბიჯით 1;   ბ) $y=a\cos 2x+b\cos 4x$

ფუნქციის გრაფიკი. დააკვირდით, არის თუ არა მიღებული ფუნქცია პერიოდული. დადებითი პასუხის შემთხვევაში, რას უდრის უმცირესი დადებითი პერიოდი?

2 ვთქვათ, $f(x)=a_1\sin(k_1x+b_1)$, $g(x)=a_2\sin(k_2x+b_2)$ და $F(x)=f(x)+g(x)$.

ა) აჩვენეთ, რომ, თუ $T_0(f)=T_1$; $T_0(g)=T_2$ და მოიძებნება $m,n\in N$, ისე რომ $mT_1=nT_2$, მაშინ $mT_1(nT_2)$ იქნება $F(x)$ ფუნქციის პერიოდი.

3 იპოვეთ ა) $y=\sin 2x+\cos 3x$;   ბ) $y=\sin 3x+\cos x$;   გ) $y=\sin\frac{x}{2}+\sin 3x$

ფუნქციის უმცირესი დადებითი პერიოდი.

I თავის დამატებითი სავარჯიშოები:

1. განსაზღვრეთ $\sin\alpha$, $\cos\alpha$ და $\mathrm{tg}\alpha$ რიცხვების ნიშანი, როცა

ა) $\frac{\pi}{2} < \alpha < \frac{3\pi}{4}$; ბ) $\frac{3\pi}{2} < \alpha < \frac{7\pi}{4}$;

გ) $\frac{11\pi}{5} < \alpha < \frac{12\pi}{5}$; დ) $-\frac{3\pi}{2} < \alpha < -\frac{5\pi}{4}$.

2. რომელ მეოთხედშია წერტილი, რომელიც მიიღება $P_0(1;0)$ წერტილის α კუთხით მობრუნებით, თუ $\alpha=$

ა) 1; ბ) 2; გ) –2,75; დ) 3,2; ე) –4,2; ვ) 5,2;

ზ) 6,4.

3. განსაზღვრეთ გამოსახულების ნიშანი:

ა) $\sin\frac{\pi}{10}\cdot\sin\frac{11\pi}{10}\cdot\cos\frac{\pi}{5}\cdot\cos\frac{6\pi}{5}$; ბ) $\left(\cos\frac{9\pi}{7}-\sin\frac{6\pi}{7}\right)\cdot\sin\frac{12\pi}{7}$;

გ) $(\sin2,5-\cos2,7)\cdot\cos3,6$; დ) $\mathrm{tg}\frac{\pi}{8}\cdot\sin\frac{9\pi}{8}\cdot\mathrm{ctg}\frac{3\pi}{8}$.

4*. იპოვეთ გამოსახულების მნიშვნელობათა სიმრავლე: $y=\cos^2\frac{x}{2}+\sqrt{-\sin^2 2x}$.

5. იპოვეთ:

ა) $\sin\alpha$ და $\mathrm{tg}\alpha$, თუ $\cos\alpha=\frac{9}{41}$ და $\alpha\in\left(\frac{3\pi}{2};2\pi\right)$;

ბ) $\cos\alpha$ და $\mathrm{tg}\alpha$, თუ $\sin\alpha=\frac{1}{4}$ და $\alpha\in\left(\frac{\pi}{2};\frac{3\pi}{2}\right)$;

გ) $\cos\alpha$ და $\mathrm{tg}\alpha$, თუ $\sin\alpha=0,6$ და $90°<\alpha<180°$;

დ) $\sin\alpha$ და $\cos\alpha$, თუ $\mathrm{tg}\alpha=2$ და $180°<\alpha<270°$.

6. შეიძლება თუ არა ერთდროულად სრულდებოდეს შემდეგი ტოლობები:

ა) $\sin\alpha=\frac{1}{5}$; $\mathrm{tg}\alpha=\frac{1}{\sqrt{24}}$ ბ) $\mathrm{ctg}\alpha=\frac{\sqrt{7}}{3}$; $\cos\alpha=\frac{3}{4}$.

7. ცნობილია, რომ $\mathrm{tg}\alpha-\mathrm{ctg}\alpha=b$. იპოვეთ:

ა) $\mathrm{tg}^2\alpha+\mathrm{ctg}^2\alpha$; ბ) $\mathrm{tg}^3\alpha-\mathrm{ctg}^3\alpha$.

8. გამოთვლების გარეშე დაადგინეთ გამოსახულების ნიშანი:

ა) $\sin\frac{2\pi}{9}-\sin\frac{10\pi}{9}$; ბ) $\cos3,13-\sin3,13$; გ) sin1-sin1,1; დ) sin2-sin2,1;

ე) sin125°-sin124°; ვ) sin240°-sin241°; ზ) cos71°-cos72°;

თ) cos1-cos0,9; ი) cos100°-cos99°; კ) cos3,4-cos3,5.

9*. ზრდადია თუ კლებადი ფუნქცია:

ა) y=cos(sinx), $x\in\left[-\frac{\pi}{2};0\right]$; ბ) sin(cosx), $x\in\left[\pi;\frac{3}{2}\pi\right]$; გ) tg(cosx), $x\in\left[0;\frac{\pi}{2}\right]$

10. ცნობილია, რომ $\cos\beta = -\frac{1}{2}$.

ა) სწორია თუ არა, რომ $\beta = 120°$;

ბ) მიუთითეთ რამდენიმე კუთხე, რომელთა კოსინუსი $-\frac{1}{2}$-ის ტოლია.

11. იპოვეთ:

ა) $\cos\alpha$, $\mathrm{tg}\alpha$ და $\mathrm{ctg}\alpha$, თუ $\sin\alpha = \frac{5}{13}$ და $\frac{r}{2} < a < r$;

ბ) $\sin\alpha$, $\mathrm{tg}\alpha$ და $\mathrm{ctg}\alpha$, თუ $\cos\alpha = -\frac{5}{13}$ და $r < a < \frac{3r}{2}$;

გ) $\sin\alpha$, $\cos\alpha$ და $\mathrm{ctg}\alpha$, თუ $\mathrm{tg}\alpha = \frac{7}{24}$ და $r < a < \frac{3r}{2}$;

დ) $\sin\alpha$, $\cos\alpha$ და $\mathrm{tg}\alpha$, თუ $\mathrm{ctg}\alpha = -2,4$ და $\frac{r}{2} < a < r$.

12. იპოვეთ:

ა) $\sin^2\frac{r}{13} + \sin^2\frac{11r}{26}$;

ბ) $\frac{\sqrt{3}}{\cos 290°} + \frac{1}{\sin 250°}$;

გ) $\sin 10° \cdot \sin 30° \sin 50° \sin 70°$;

დ) $\sin^2 70° \sin^2 50° \sin^2 10°$;

ე) $\sin^2\frac{r}{8} + \cos^2\frac{3r}{8} + \sin^2\frac{5r}{8} + \cos^2\frac{7r}{8}$;

ვ) $8\cos\frac{4r}{9}\cos\frac{2r}{9}\cos\frac{r}{9}$;

ზ) $\frac{(\cos 4° + \cos 2°)^2 + (\sin 4° + \sin 2°)^2}{\sin 2° \mathrm{ctg} 1°}$;

თ) $\frac{\sin 24° \cos 6° - \sin 6° \sin 66°}{\sin 21° \cos 39° - \cos 51° \sin 69°}$.

13. იპოვეთ:

ა) $\mathrm{tg}2\alpha$, თუ $\cos\left(a - \frac{r}{2}\right) = -\frac{2}{3}$ და $\frac{3r}{2} < a < 2r$;

ბ) $\mathrm{tg}2\alpha$, თუ $\cos\left(a - \frac{r}{2}\right) = \frac{3}{5}$ და $\frac{r}{2} < a < r$.

14. ამოხსენით განტოლება:

ა) $\cos\left(\frac{r}{4} + x\right)\cos\left(\frac{r}{4} + x\right) = \frac{1}{2}$;

ბ) $\cos\left(\frac{r}{3} - x\right)\sin\left(\frac{r}{3} + x\right) = -\frac{1}{4}$.

15. გამოსახეთ $\sin 2\alpha$-თი:

ა) $\sin^4\alpha + \cos^4\alpha$;

ბ) $\sin^6\alpha + \cos^6\alpha$.

16. იპოვეთ:

ა) $\alpha + \beta$, თუ $\mathrm{tg}\alpha = 0,5$; $\mathrm{tg}\beta = \frac{1}{3}$; $0 < a < \frac{r}{2}$; $0 < b < \frac{r}{2}$;

ბ) $\alpha - \beta$, თუ $\sin\alpha = \frac{40}{41}$; $\sin\beta = -\frac{9}{41}$; $0 < a < \frac{r}{2}$; $-\frac{r}{2} < b < 0$.

17. იპოვეთ:

ა) $\cos 4\alpha$, თუ $\cos\alpha - \sin\alpha = \frac{1}{2}$;

ბ) $\cos 4\alpha$, თუ $\sin\alpha + \cos\alpha = \frac{1}{5}$.

18. ამოხსენით განტოლება:

ა) $\cos^2\frac{x}{2}=\sin^2\frac{x}{2}$; ბ) $\cos\frac{x}{2}\sin\frac{x}{2}-\frac{1}{2}=0$;

გ) 3sinx=sin2x; დ) $\cos^2\frac{x}{2}=\cos x$.

19. იპოვეთ გამოსახულების მნიშვნელობა:

ა) $2\cos^2\frac{3\pi}{8}-1$; ბ) $1-2\sin^2\frac{5\pi}{12}$; გ) $\frac{\sqrt{3}}{2}+2\sin^2 15^\circ$; დ) $\frac{\sqrt{2}}{2}-2\cos^2(22^\circ30')$.

20. ამოხსენით განტოლება:

ა) $1-\cos x=2\sin\frac{x}{2}$; ბ) $1+\cos x=2\cos\frac{x}{2}$; გ) $1+\cos\frac{x}{2}=2\sin\left(\frac{x}{4}-\frac{\pi}{2}\right)$;

დ) $1+\cos 8x=2\cos 4x$; ე) $2\sin^2\frac{x}{2}+\frac{1}{2}\sin 2x=1$; ვ) $2\cos^2 x-\frac{1}{2}\sin 4x=1$.

21. გამოთვალეთ დაყვანის ფორმულების გამოყენებით:

ა) cos225°; ბ) sin(–210°); გ) tg315°; დ) tg(–150);

ე) $\cos\frac{7\pi}{6}$; ვ) $\mathrm{tg}\left(-\frac{2\pi}{3}\right)$; ზ) $\sin\left(-\frac{13\pi}{6}\right)$; თ) $\mathrm{ctg}\left(-\frac{7\pi}{4}\right)$.

22. გამოთვალეთ დაყვანის ფორმულების გამოყენებით:

ა) sin412°+tg1099°·cos52°; ბ) sin772°+tg199°·cos412°; გ) cos566°+tg13°·sin566°.

23. ცნობილია, რომ ctgα=–2. იპოვეთ:

ა) $\frac{2\sin\alpha+3\cos\alpha}{5\sin\alpha-\cos\alpha}$; ბ) $\frac{3\cos^2\alpha-5\sin^2\alpha}{2\cos^2\alpha+3\cos\alpha\sin\alpha}$;

გ) $\frac{2\sin^2\alpha-\sin\alpha\cos\alpha}{3\sin^2\alpha+4\cos^2\alpha}$; დ) $\frac{3\sin\alpha-7\cos\alpha}{2\cos\alpha+3\sin\alpha}$.

24. იპოვეთ:

ა) $\frac{\cos^4\alpha+\sin^2\alpha\cos\alpha}{\sin^2 2\alpha}$, თუ tgα=3; ბ) $\mathrm{tg}^2\alpha+\mathrm{ctg}^2\alpha$, თუ tgα+ctgα=a.

25. დაამტკიცეთ, რომ თუ $\alpha+\beta=\frac{\pi}{4}$, მაშინ: (1+tgα)(1+tgβ)=2.

26. $\cos^2 x+\frac{\sqrt{3}+1}{2}\sin x-\frac{\sqrt{3}}{4}-1=0$ განტოლების რამდენი ამონახსნია მოთავსებული [–π;π] შუალედში?

27. შესაძლებელია თუ არა, შესრულდეს ტოლობა:

ა) 2sinα+cosα=3; ბ) 3sinα–14cosα=7; გ) 3cosα–2sinα=5; დ) sinαcosα=–1.

I თავში შესწავლილი მასალის მოკლე მიმოხილვა

- ფორმულები, რომლებიც გამოხატავენ დამოკიდებულებას ერთი და იმავე არგუმენტის ტრიგონომეტრიულ ფუნქციებს შორის – **ძირითადი ტრიგონომეტრიული იგივეობები**.

1. $\sin^2\alpha + \cos^2\alpha = 1$

2. $\sin\alpha = \pm\sqrt{1-\cos^2\alpha}$

3. $\cos\alpha = \pm\sqrt{1-\sin^2\alpha}$

4. $1 + \mathrm{tg}^2\alpha = \dfrac{1}{\cos^2\alpha}$

5. $1 + \mathrm{ctg}^2\alpha = \dfrac{1}{\sin^2\alpha}$

6. $\mathrm{tg}\alpha = \dfrac{\sin\alpha}{\cos\alpha}$

7. $\mathrm{ctg}\alpha = \dfrac{\cos\alpha}{\sin\alpha}$

8. $\mathrm{tg}\alpha \cdot \mathrm{ctg}\alpha = 1$

- ორი არგუმენტის ჯამისა და სხვაობის ტრიგონომეტრიული ფუნქციები:

$$\sin(\alpha+\beta)=\sin\alpha\cos\beta+\sin\beta\cos\alpha$$

$$\sin(\alpha-\beta)=\sin\alpha\cos\beta-\sin\beta\cos\alpha$$

$$\cos(\alpha+\beta)=\cos\alpha\cos\beta-\sin\alpha\sin\beta$$

$$\cos(\alpha-\beta)=\cos\alpha\cos\beta+\sin\alpha\sin\beta$$

$$\mathrm{tg}(a+b)=\frac{\mathrm{tg}a+\mathrm{tg}b}{1-\mathrm{tg}a\,\mathrm{tg}b}$$

$$\mathrm{tg}(a-b)=\frac{\mathrm{tg}a-\mathrm{tg}b}{1+\mathrm{tg}a\,\mathrm{tg}b}$$

1. $\sin2\alpha=2\sin\alpha\cos\alpha$

2. $\cos2\alpha=\cos^2\alpha-\sin^2\alpha$

3. $\mathrm{tg}2\alpha=\dfrac{2\mathrm{tg}a}{1-\mathrm{tg}^2a}$

2ა. $\cos2\alpha = 2\cos^2\alpha - 1$

2ბ. $\cos2\alpha = 1 - 2\sin^2\alpha$

$$\cos^2 a = \frac{1+\cos 2a}{2}$$

$$\sin^2 a = \frac{1-\cos 2a}{2}$$

$$\cos\frac{a}{2} = \pm\sqrt{\frac{1+\cos a}{2}}$$

$$\sin\frac{a}{2} = \pm\sqrt{\frac{1-\cos a}{2}}$$

$$\mathrm{tg}\frac{a}{2} = \pm\sqrt{\frac{1-\cos a}{1+\cos a}}$$